# საქართველოს მთავრობის
# განკარგულება

N1791 2016 წლის 2 სექტემბერი ქ. თბილისი

„საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის 2014 წლის 3 სექტემბრის სასესხო ხელშეკრულების (ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტი)“ №1 ცვლილების“ საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენისა და მომხსენებლებად გ. კაკაურიძის, ლ. ხუციშვილისა და ი. ხმალაძის დანიშვნის შესახებ

1. საქართველოს კონსტიტუციის 65-ე მუხლის $1^1$ პუნქტისა და „საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-15 მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტს რატიფიცირებისათვის წარედგინოს „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის 2014 წლის 3 სექტემბრის სასესხო ხელშეკრულების (ელექტროგადამცემი ქსელის გაძლიერების პროექტი)“ №1 ცვლილება“.

2. „საპარლამენტო მდივნის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტში რატიფიცირებისათვის წარდგენილ ამ განკარგულების პირველ პუნქტში აღნიშნულ ცვლილებაზე საქართველოს პარლამენტის საკომიტეტო და პლენარულ სხდომებზე მომხსენებლებად დაინიშნონ საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილეები გიორგი კაკაურიძე და ლაშა ხუციშვილი და ენერგეტიკის მინისტრის მოადგილე ირაკლი ხმალაძე.

პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი